ნატოს ახალი სტრატეგიული კონცეფცია ცივი ომის შემდგომ

ქეთევან ჩახავა
ასისტენტ პროფესორი
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

აბსტრაქტი

მოცემულ ნაშრომში გაანალიზებულია ნატოს ცივი ომის შემდგომი ახალი სტრატეგიული კონცეფცია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ორგანიზაციამ სრულიად ახალი პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმა დაიწყო. თუკი ცივი ომის განმავლობაში ალიანსი ორიენტირებული იყო კოლექტიურ თავდაცვაზე, ახალმა მსოფლიო გამოწვევებმა მას უბიძგა ახალი მიზნებისა და გეგმების შემუშავებისკენ. სამშვიდობო ოპერაციები, სამხედრო კამპანიები, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის დაცვა ორგანიზაციის არაწევრ ქვეყნებში გახდა ნატოს ძირითადი და უმნიშვნელოვანესი სტრატეგია.

იუგოსლავიის დაშლის შედეგად ბოსნიამ და კოსოვომ მოითხოვეს დამოუკიდებლობა, რასაც მოყვა სერბების აღშფოთება, რომელიც შემდგომ გადაიზარდა ეთნიკურ დაპირისპირებაში. დაძაბულობამ და კონფლიქტმა იმდენად უმართავი სახე მიიღო საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარევის გარეშე კონფლიქტის მოგვარება რთული ან თითქმის შეუძლებული ხდებოდა. ნატომ პირველად ალიანსის ისტორიაში გადადგა ახალი პოლიტიკური ნაბიჯები, ჩაატარა მნიშვნელოვანი სამშვიდობო ოპერაციები ბოსნიასა და კოსოვოში. ალიანსის სამხედრო ძალის დახმარებით ბოსნიამ და კოსოვომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ შეძლეს მშვიდობის შენარჩუნება, სერბებთან კონფრონტაციის დასრულება და სუვერენულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება. ამასთანავე, ნატოსთვის იუგოსლავიის კონფლიქტი წარმოადგენდა ერთგვარ გამოწვევას ალიანსის შესაძლებლობების, სტაბილურობის და ეფექტიანობის განსამტკიცებლად. თანამედროვე მსოფლიოში ნატო უდაოდ წარმოადგენს მშვიდობის, უსაფრთხოების და სტაბილურობის გარანტ მთავარ სამხედრო ორგანიზაციას.

საკვანძო სიტყვები:
სამშვიდობო ოპერაციები, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, უსაფრთხოება, თავდაცვა, სტრატეგიული კონცეფცია.

NATO'S NEW STRATEGIC CONCEPT AFTER THE COLD WAR

KETEVAN CHAKHAVA
ASSISTANT PROFESSOR
LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

ABSTRACT

The research describes and analyzes the new strategic concept of NATO after the cold war environment. Since the dissolution of the Soviet Union the organization has undergone tremendous changes, it made completely different political moves. The policy of the alliance shifted from the collective defense to the collective security. Peacekeeping operations, ensuring security and stability in non-member states, has become the significant strategic concept of the alliance.

The breakup of Yugoslavia was followed by the declaration of independence in Bosnia and Kosovo. The declaration of independence was rejected by the Bosnian Serbs and the ethnic conflict broke out across the country. Without the involvement of international organizations, it was almost impossible to deal with the crisis. NATO implemented the new, effective strategic concept and conducted the most significant peacekeeping operations in the conflict areas. Military involvement of the alliance made a great contribution in maintaining peace, establishing sovereignty, and ending the confrontation in the conflict regions. The Yugoslavian crisis represented the new challenge for the alliance to strengthen its effectiveness, responsibilities, and capabilities. In closing, in the contemporary world NATO is undoubtedly the main military guarantor of peace, security and stability.

KEYWORDS:
Peacekeeping Operations, North Atlantic Treaty Organization, Security, Defence, Strategic Concept

შესავალი

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი წარმოადგენს შეკავების პოლიტიკის ფარგლებში ჩამოყალიბებულ ალიანსს, რომლის უმთავრესი მიზანი საბჭოთა კავშირის გავრცელების შეჩერება გახლდათ. ცივი ომის დარსულების შემდგომ ყველას სჯეროდა, რომ ნატო, როგორც უსაფრთხოების ორგანიზაცია და ყველაზე წარმატებული ალიანსი მსოფლიოში, ვეღარ შეძლებდა არსებობას, რადგან საბჭოთა კავშირი უკვე დაშლილი იყო. ან იმ შემთხვევაში თუ ალიანსი ისევ გააგრძელებდა არსებობას, ბევრი მკვლევარი თვლიდა, რომ ის უბრალოდ უფუნქციოდ დარჩებოდა.

ამ მოლოდინების საპირისპიროდ ნატომ შეძლო არა მხოლოდ წევრი ქვეყნების და ალიანსის ერთობის შენარჩუნება, არამედ ორგანიზაცია გაფართოვდა, ჩამოაყალიბა ახალი პოლიტიკა, შეცვალა მიზნები და მოქმედებები. ამასთანავე, იგი დღემდე წარმოადგენს წარმატებულ და უმნიშვნელოვანეს წამყვან უსაფრთხოების ორგანიზაციას მსოფლიოში.

არსებობს რამდენიმე მიზეზი, რამაც ხელი შეუწყო ალიანსის კიდევ უფრო მჭიდრო კავშირს და წევრი ქვეყნების თავდადებას ორგანიზაციისთვის. პირველი, გარე საფრთხე, რომელიც მოსალოდნელი იყო არა მხოლოდ რუსეთიდან, არამედ მეზობელი ქვეყნების ტერიტორიებზე შესაძლო კონფლიქტებიდან. ამ შემთხვევაში ალიანსის წევრი ქვეყნები დაცულნი უნდა ყოფილიყვნენ ნებისმიერი საფრთხისგან.

მეორე, ცივი ომის დასრულების შემდგომ ნატომ შეიმუშავა ორი ძირითადი ფუნქცია: ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში შეიარაღებული კონფლიქტების მართვა და ამ კონფლიქტების შეჩერების შედეგად სტაბილურობის უზრუნველყოფა პოსტ საბჭოთა ქვეყნებში. მესამე, ნატომ დიდი წვლილი შეიტანა წევრ ქვეყნებს შორის მშვიდობის და სტაბილურობის უზრუნველყოფაში. ორგანიზაციის ჩამოყალიბებამდე მსოფლიომ გამოიარა ორი მსოფლიო ომი, სადაც ძირითადად ჩართული იყვნენ ევროპის ქვეყნები. ზოგადად, ევროპაში მუდმივად მიმდინარეობდა კონფლიქტები, კრიზისები, დაპირისპირებები, რათა გამოკვეთილიყო ჰეგემონი ქვეყანა, ვინც ძალთა ბალანსს დაარღვევდა და მოიპოვებდა სრულ ძალაუფლებას - დომინანტი ქვეყნის სტატუსს. ხოლო, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ღია და გამჭირვალე პოლიტიკის დამკვიდრებით, ცივი ომის პერიოდამდე არსებული დაპირისპირებები ევროპაში უკვე აღარ არსებობდა. ქვეყნები გაერთიანდნენ ერთ სამხედრო ბლოკში, სადაც უზრუნველყოფდნენ ერთმანეთის მშვიდობას, უსაფრთხოებას და სტაბილურობას.

კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომზე მუშაობის დროს გამოყენებულ იქნა სამაგიდე კვლევის მეთოდი, რომელიც დამეხმარა მეწარმოებინა ცალკეული სტატიების, დოკუმენტების და ინტერნეტმასალის კლასიფიცირება, შესწავლა და გაანალიზება. დაკვირვების შედეგად ასევე გამოყენებულ იქნა კონტენტ-ანალიზი, რომელიც უზრუნველყოფს შინაარსის უკეთ გაგებას და დასაბუთებულად გადმოცემას.

ნატოს ახალი სტრატეგიული კონცეფცია

ცივი ომის დასრულების შემდგომ, მსოფლიოში გაჩნდა ახალი გამოწვევები და საფრთხეები. იუგოსლავიის რესპუბლიკის დაშლის ეტაპები დაკავშირებული იყო გარკვეულ დაპირისპირებებთან და კონფლიქტებთან. ამ კრიზისთან გამკლავებას ჭირდებოდა საერთაშორისო ძალების ჩარევა, მოლაპარაკებების მართვა და შეთანხმების მიღწევა. იუგოსლავიის კონფლიქტი აღმოჩდნა დიდი გამოწვევა ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციისთვის, რომელმაც საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა მოეხდინა სწრაფი რეაგირება და უზრუნველყო პროცესების შეძლებისდაგვარად მშვიდობიანი მართვა. ნატომ შეიმუშავა ახალი სტრატეგიული კონცეფცია - უზრუნველყო მსოფლიო მშვიდობა, ხოლო ამისთვის მან მიმართა სამშვიდობო ოპერაციებს კონფლიქტურ რეგიონებში.

იუგოსლავიის კონფლიქტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ევროპისთვის, როდესაც 1991 წლიდან დიდი ფედერაცია დაიშალა და სახელმწიფოებმა მოიპოვეს დამოუკიდებლობა. ბოსნიამ და კოსოვომ დაიწყეს ბრძოლა სუვერენიტეტისთვის, ხოლო ფედერაცია ამას ვერ ეგუებოდა და ცდილობდა ძალის გამოყენებით ისინი შეენარჩუნებინა იუგოსლავიის რესპუბლიკაში.

კონფლიქტი ბოსნიაში და ნატოს სამშვიდობო ოპერაცია

ბოსნიის ომი 1992-1995 წლებში მიმდინარეობდა. 1992 წლის 29 თებერვალს ბოსნიაში ჩატარდა რეფერენდუმი, ხოლო 1992 წლის მარტში, როდესაც ნათელი გახდა, რომ ბოსნია ჰერცეგოვინა დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღებას აპირებდა და იუგოსლავიის ფედერაციიდან გამოსვლას, დაიწყო მედიის ბრძოლა, რომელიც პროპაგანდითა და ცენზურით შემოიფარგლებოდა. - (2016) How the Media in 1992 was reporting on the Referendum (gallery) . MARCH 1, 2016 4:30 PM https://www.sarajevotimes.com/how-the-media-in-1992-was-reporting-on-the-referendum-gallery/ იუგოსლავიის საჰაერო ძალებმა, იერიში მიიტანეს სამაუწყებლო კომუნიკაციებზე და ბრძოლა მაშინვე გადაიზარდა „მეტ სროლასა და ნაკლებ საუბარში“. (Bjarnason 2001) ბოსნია ჰერცეგოვინის დამოუკიდებლობის წინააღმდეგი იყვნენ სერბები, ისინი მხარს უჭერდნენ სერბეთის სახელმწიფო ერთიანობას სლობოდან მილოშევიჩის და იუგოსლავიის სახალხო არმიის მეთაურობით. მათ გამოაცხადეს საკუთარი ჯარის მობილიზაცია, იცავდნენ საკუთარ ტერიტორიას და ებრძოდნენ ბოსნიელებს. დაიწყო ეთნიკური კონფლიქტი, სადაც ძალადობრივ მეთოდებს იყენებდნენ სერბები ბოსნიელთა წინააღმდეგ.

უსაფრთხო ზონების ჩამოყალიბების იდეა ჯერ კიდევ 1992 წლის 12 დეკემბერს გაჟღერდა მაშინ , როცა ევროპულმა თანამეგობრობამ მოითხოვა ჩამოყალიბებულიყო ზონები ბოსნია ჰერცეგოვინაში , რათა უზრუნველყოფილიყო სამოქალაქო პირების უსაფრთხოება. (Nederlandsinstitut for war documentation, Srebrenica: a “safe” area, Appendix XIII, chronology of the Bosnian conflict 1990-1995. n.d.). 1993 წლის 6 მაისს 824 რეზოლუციით სრებრენიცა ჩაითვალა უსაფრთხო ზონად. (UN Security Council 3208th Meeting Resolution S/RES/824 1993).

კონფლიქტი ბოსნიაში გახლდათ პირველი გამოწვევა ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვის. ცივი ომის პერიოდში ნატო ზრუნავდა მხოლოდ წევრი ქვეყნების უსაფრთხოებაზე, ხოლო ახლა შეცვლილი სტრატეგიული კონცეფციით ორგანიზაციამ უზრუნველყო მშვიდობის დამყარება არაწევრ ქვეყნებშიც.

1992 წელს ჰელსინკში ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეკრებაზე გადაწყვიტეს კონფლიქტის მოგვარება სამხედრო ჩარევით. მოილაპარაკეს გაეგზავნათ რამდენიმე გემი და თვითმფრინავი, რათა მომხდარიყო საჰაერო სივრცის კონტროლი. სამშვიდობო ოპერაცია მიმდინარეობდა გაეროს რეზოლუციის გათვალისწინებით.

1994 წლის 11 აპრილს განხორციელდა ნატოს პირველი მჭიდრო საჰაერო მხარდაჭერის მისია ალიანსის ისტორიაში გორაჟდეს უსაფრთხო ზონის დასაცავად, რომელსაც სერბთა რესპუბლიკის არმია უტევდა. საჰაერო დარტყმისას განადგურდა სერბთა საველე შტაბი, რასაც მოჰყვა 150 გაეროს მშვიდობისმყოფელის დატყვევება სერბების მიერ, რომლებიც დაიმუქრნენ მათი მოკვლით, თუ მათ არმიაზე გორაჟდეს გარშემო საჰაერო დარტყმები არ შეწყდებოდა. (Binet 2015).

1995 წლის დეკემბერს ხელი მოეწერა დეიტონის შეთანხმებას რითიც დასრულდა ომი სერბებსა და ბოსნიელებს შორის. დეიტონის სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ ნატომ დაიწყო პირველი სამშვიდობო ოპერაციის ჩატარება ბოსნიაში. 14 პარტნიორი ქვეყნის საჯარო ნაწილები, რომლებსაც ქონდათ გაეროს მანდატი, შევიდნენ ბოსნიაში მშვიდობის უზრუნველსაყოფად. დეიტონის შეთანხმების საფუძველზე ნატომ (IFOR) -ის მისიით 60 000 სამხედრო გამოგზავნა სამშვიდობო მისიით, ხოლო 1996 წლის 20 დეკემბერს გამოგზავნილ იქნა (SFOR), 32 სამხედრო ძალა. (htt2) სტაბილიზაციის ძალების მოვალეობა იყო საომარი მოქმედებების თავიდან აცილება და სამშვიდობო პროცესის განვითარებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა, მაგრამ, მისიის გაფართოების შემდეგ, ამ მოვალეობებში ასევე შედიოდა იმ სამოქალაქო ორგანიზაციების მხარდაჭერა, რომლებიც მონაწილეობენ საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევაში, ამ ქვეყანაში მშვიდობის დასამყარებლად. სამშვიდობო ძალები თავიანთ სახლებში დაბრუნებაში დაეხმარნენ ლტოლვილებს და იძულებით ადგილნაცვალ პირებს. მათ თავიანთი წვლილი შეიტანეს ბოსნიის სამხედრო ძალების რეფორმირებაში. უსაფრთხოების სიტუაციის თანდათანობით გაუმჯობესებასთან ერთად, ამ ქვეყანაში განლაგებული სამშვიდობო ძალები მცირდებოდა. თუ თავდაპირველად აქ 60-ათასიანი ჯარები იყო განლაგებული, 2004 წელს მათგან მხოლოდ 7 ათასი დარჩა. ნატოს სამხედრო ჩარევით და ჩატარებული წარმატებული სამშვიდობო ოპერაციის წყალობით ბოსნიაში დამყარდა მშვიდობა, ქვეყანამ მოიპოვა დამოუკიდებლობა, გაატარა აუცილებელი და საჭირო რეფორმები, რაც ქვეყნის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ნაბიჯები გახლდათ.

კონფლიქტი კოსოვოში და ნატოს სამშვიდობო ოპერაცია

1990 წლის 2 ივლისს 114 ეთნიკურმა ალბანელმა გამოაცხადა კოსოვოს დამოუკიდებლობა. სერბების ასამბლეამ დაშალა კოსოოვოს ანსამბლეა და და კოსოვო გამოცხადდა მის შემადგენელ ნაწილად. 1991 წელს ჩატარდა არაოფიციალური რეფერენდუმი. კოსოვოში მიმდინარეობდა ორი სახის დაპირისპირება - არაძალადობრივი და ძალადობრივი. არაძალადობრივი წინააღმდეგობის დროს კოსოვოელმა ალბანელებმა იბრაჰიმ რუგოვა აირჩიეს კოსოვოს პრეზიდენტად, დააარსეს დამოუკიდებელი ინსტიტუტები და უარი თქვეს სერბებთან თანამშრომლობაზე. რეალურად მათ ჩამოაყალიბეს საკუთარი მთავრობა, რომელიც არაოფიციალურად მართავდა კოსოვოს. სერბების, დასავლეთის დიპლომატების, ევროპის და ვაშინგტონის ყურადღება ამ დროისთვის მიმართული იყო მთლიანად ბოსნიის კონფლიქტისკენ, ამიტომ რამდენიმე წლის მანძილზე მათ უგულებელყვეს არაძალადობრივი მოძრაობა კოსოვოში. მიმდინარე პროცესები შეიცვალა მაშინ, როდესაც დეიტონში სამშვიდობო შეთანხმების დროს არ იქნა მიწვეული რუგოვა, ხოლო შეხვედრას ესწრებოდა მილოშევიჩი. ალბანელებმა შეცვალეს პროტესტის ფორმა და მიმართეს ძალადობრივ დაპირისპირებას. ისინი თავს ესხმოდნენ სერბებს, პოლიციელთა განყოფილებას, მოსახლეობას. (htt1)

1998 წელს ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ დაიწყო კოსოვოს კრიზისის განხილვა და გადაწვიტა უზრუნველყო კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება. ალიანსი ასევე ქვეყნაში საჰაერო კამპანიის დასაწყებად მზადყოფნას გამოქვამდა. 1999 წლის 14 მარტს ნატომ კოსოვოს 78 დღიანი სამხედრო- საჰაერო კამპანია განახორციელა.

1999 წლის 23 აპრილს ვაშინგტონში ნატოს წევრ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებმა კოსოვოს კონფლიქტთან მიმართებაში ალიანსის მიზნები დაამტკიცეს: საომარი მოქმედებების, ძალადობისა და რეპრესიების შეჩერება რეგიონში; კოსოვოს პროვინციის დემილიტარიზაცია; საერთაშორისო სამხედრო/ სამშვიდობო მისიის ჩამოყალიბება; კოსოვოში ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებული პირების დაუყოვნებლივი და უსაფრთხო დაბრუნება სახლებში; ჰუმანიტარული დახმარების დაუბრკოლებელი მიწოდება ლტოლვილთათვის; პოლიტიკური შეთანხმების შემუშავება; (htt)

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ სამხედრო ოპერაცია კოსოვოში ჩატარდა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის გარეშე, რადგან სერბეთის სუვერენიტეტის დაცვის პრინციპით რუსეთი და ჩინეთი ეწინააღმდეგებოდა იუგოსლავიის ტერიტორიაზე სამხედრო კამპანიის განხორციელებას. ამ წინააღმდეგობის მიუხედავად, ნატომ და აშშ-მ გადაწყვიტა სამხედრო ჩარევით კოსოვოს უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის განმტკიცების ხელშეწყობა.

1999 წლის სამხედრო - ტექნიკური შეთანხმების საფუძველზე ნატომ რეგიონში კოსოვოს ძალები (Kosovo Force – KFOR) გაგზავნა. მათ დაევალათ: საომარი მოქმედებების განახლების დაუშვებლობა; კოსოვოს გამათავისუფლებელი არმიის განიარაღება; სარეკონსტრუქციო სამუშაოები; საარჩევნო პროცესებისა და სხვა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ასპექტების განვითარების ხელშეწყობა; კოსოვოში გაეროს მისიისა (United Nations Missiom in Kosovo –UNMIK) და სხვა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების ჰუმანიტარული ოპერაციების მხარდაჭერა. მისიაში მონაწილეობდნენ, როგორც წევრი, ასევე ორგანიზაციის თორმეტამდე არაწევრი ქვეყნები. მისია მოიცავდა დაახლოებით 50 000 სამხედროს. უკვე 2003 წლიდან სიტუაციის დასტაბილურების შედეგად სამშვიდობო კონტიგენტი 15 000 კაცამდე შემცირდა. KFOR პირველი მისია გახლდათ, რომელშიც საქართველოც მონაწილეობდა. ნატოს სამშვიდობო მისია დღესაც გრძელდება კოსოვოში და ხელს უწყობს უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებას. 2008 წელს კოსოვომ მოიპოვა დამოუკიდებლობა.

დასკვნა

იუგოსლავიის დაშლის შედეგად გამოწვეულ კონფლიქტებში ბოსნიის და კოსოვოს დამოუკიდებლობის ხელშეწყობით სამხედრო კამპანიის წარმოება ნამდვილად წარმოადგენს ახალ ეტაპს ალიანსის ისტორიაში. იმის მიუხედავად, რომ არსებობდა ვარაუდი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ნატოს უფუნქციოდ დარჩენის შესახებ, ორგანიზაცია მთლიანად მოერგო მსოფლიოს ახალ გამოწვევებს, მოახდინა საკუთარი ძალის და ახალი სტრატეგიების ეფექტიანი განხორციელება. ზუსტად ახალი სტრატეგიული კონცეფციების შემუშავებით ნატომ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ბოსნიის და კოსოვოს კონფლიქტების მშვიდობიანად დასრულებაში. რომ არა ალიანსის მონდომება და სურვილი იუგოსლავიის ტეროტორიაზე ეთნიკური კონფლიქტების და კონფრონტაციის დარეგულირებისა, ბევრად უფრო რთული იქნებოდა დამოუკიდებლობის მოპოვების

სურვილით მებრძოლ ქვეყნებში სტაბილურობის და უსაფრთხოების მოპოვება და შემდგომ მისი შენარჩუნება.

კოსოვოს და ბოსნიის სამშვიდობო ოპერაციების შემდგომ ალიანსმა წარმატებით განახორციელა არაერთი სამხედრო სამშვიდობო მისია. ნატო წარმოადგენს სამხედრო ალიანსს, რომელიც დღეს არის კრიზისების მართვის, კონფლიქტების დარეგულირების, მშვიდობის უზრუნველყოფის და უსაფრთხოების მთავარი გარანტი ორგანიზაცია.

გამოყენებული ლიტერატურა

- 2016. MARCH 1. https://www.sarajevotimes.com/how-the-media-in-1992-was-reporting-on-the-referendum-gallery/
- n.d. https://old.infocenter.gov.ge/peacekeeping-missions/#1
- n.d. . https://www.britannica.com/event/Dayton-Accords
- n.d. https://www.globalsecurity.org/military/ops/joint_endeavor.htm
- Binet, Laurence. 2015. “MSF and the war in the former Yugoslavia 1991-2003, Médecins Sans Frontières,.”
- Bjarnason, Magnus. 2001 . “The War and War-Games in Bosnia and Herzegovina from 1992 to 1995 , The main events, disagreements and arguments, resulting in a “de facto” divided country,.”
- n.d. Nederlandsinstitut for war documentation, Srebrenica: a “safe” area, Appendix XIII, chronology of the Bosnian conflict 1990-1995
- 1993. UN Security Council 3208th Meeting Resolution S/RES/824